ხელშეკრულება №107

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.თბილისი 11 დეკემბერი 2014წ.

ერთის მხრივ, სსიპ - ქალაქ თბილისის #10 საჯარო სკოლა (შემდგომი „შემსყიდველი“), წარმოდგენილი დირექტორის ბელა ხუბუტიას სახით და მეორეს მხრივ შპს ,,თბილი სახლი“ დირექტორი მალხაზ კურტანიძე (შემდგომში - „შემსრულებელი“), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს 2 ცალი გამაფართოვებელი ავზის შეძენა (CPV44600000) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

მუხლი2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 440,00(ოთხასორმოცდა 00თ) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს მომსახურეობის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. „შემსრულებელთან“ ანგარიშწორება ხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად;

3.2. ანგარიშწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი;

3.3. „შემსრულებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. „შემსყიდველი“ გაწეული მომსახურების თაო ბაზე „შემსრულებელთან“ სამუშაოს დასრულებიდან 2 დღის ვადაში ადგენს მიღება-ჩაბარების აქტს;

4.2. შეყიდვის ობიექტის მიწოდებად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე „შემსყიდველის“ მიერ იმ მომსახურების მიღება, რომელიც უნდა მიაწოდოს „შმსრულებელმა“ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და წესით.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობები:

5.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

5.1.1. ნებისმიერ დროს განახორციელოს „შემსრულებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

5.1.2. მოითხოვოს მომსახურების მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და პირობებით

5.2. „შემსრულებელი“ უფლებამოსილია

5.2.1 მოსთხოვოს „შემსყიდველს“ შესრულებული მომსახურეობის ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

5.3. „შემსრულებელი“ ვალდებულია:

5.3.1. ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროს და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები;

5.3.2. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომელიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

5.4. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

5.4.1. უზრუნველყოს „შემსრულებლისთვის“ თანხის გადახდა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

6.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

6.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით;

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისგან;

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

8.1. თუ წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

8.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, თუ ეს გამოიწვევს ხელშეკრულების ღირებულების გაზრდას ან „შემსყიდველისათვის“ ხელშეკრულების პირობების გაუარესებას, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა;

8.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების“ სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

9.1.1. მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

9.1.2. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

10.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით

მუხლი 12 . განსაკუთრებული პირობები

12.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

12.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „შემსრულებელთან“ მეორე „შემსყიდველთან“

„შემსყიდველი“	„შემსრულებელი“
სსიპ ქალაქ თბილისის #10 საჯარო სკოლა	
მის.: ქ.თბილისი, ც.დადიანის .#189	**შპს „თბილი სახლი“**
ს/კ 200007731	**დირექტორი მალხაზ კურტანიძე**
საბანკო რეკვიზიტები:	თბილისი ვაჟა–ფშაველას N20
მომსახურე ბანკი: ს/ს „ლიბერთი ბანკი“	ს.კ. 204976179
ბანკის კოდი: LBRTGE22	მომსახურე ბანკი: ს/ს საქართველოს ბანკი
ა/ა GE62LB0115119852746000	ბანკის კოდი: BAGAGE22
	ა/ა GE19BG0000000175579101
სკოლის დირექტორი	დირექტორი
ბელა ხუბუტია	მალხაზ კურტანიძე
----------	----------